დანართი ზ: სტრატეგიული დოკუმენტების კავშირი საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის დოკუმენტთან

მიმართულება/განზომილება	მიზანი/ქვე-მიზანი	სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან შესაბამისობა
დეკარბონიზაცია: სათბურის აირების ემისიები და მოცილება	**მიზანი 1:** სათბურის გაზების ემისიის შემცირება (2030 წლისათვის, სათბურის გაზების მთლიანი ადგილობრივი ემისიის 35%-იანი სამიზნე მაჩვენებელი 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით)	**ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (Nationally Determined Contributions (NDC))- 2021-2030 -** დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს მიერ ნაკისრი სათბური აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლებს 2030 წლისთვის და ქვეყნის ადაპტაციასთან დაკავშირებულ პრიორიტეტებს. კერძოდ, საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ 2030 წლისთვის სათბურის აირების ემისიებს 1990 წელის დონესთან შედარებით 35%–ით უპირობოდ, ხოლო საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში, 50-57%-ით შეამცირებს (პუნქტები 1 და 2); **საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა -** აყალიბებს პოლიტიკის ძირითად ჩარჩოს საქართველოში კლიმატის ცვლილების შერბილების მიმართულებით და წარმოადგენს NDC-ის პრაქტიკაში განხორციელების ინსტრუმენტს. **ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია - აყალიბებს** საქართველოს განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას, მათ შორის გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სფეროებში. მიზანი 14 ითვალისწინებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას, მდგრადი და კლიმატგონივრული მართვის უზრუნველყოფას, ხოლო მიზანი 7 - ენერგეტიკის სექტორის მდგრად განვითარებას. **საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP 4)** - ქმნის პოლიტიკის ძირითად ჩარჩოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში, მათ შორის, კლიმატის ცვლილების კუთხით. NEAP 4-ის ერთ-ერთი მიზანია კლიმატის ცვლილების პოლიტიკის სრულყოფა (მიზანი 13);

		დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია (Long Term Low Emissions Development Strategy LT-LEDS) - კონცეფცია განსაზღვრავს ეროვნული სათბურის აირების ემისიებისა და შთანთქმის სავარაუდო მაჩვენებლების დიაპაზონს და აყალიბებს ხედვას 2050 წლისთვის. საქართველო აცხადებს „ნახშირბად ნეიტრალურობას“ როგორც მიზანს და 2050 წლისთვის განსაზღვრავს სექტორულ პრიორიტეტებს.
	მიზანი 1.1: საწარმოო პროცესებიდან და პროდუქციის მოხმარებიდან (IPPU) წარმოქმნილი ემისიების შემცირება 5%-ით საკონტროლო დონესთან შედარებით	**ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) -2021-2030** - დოკუმენტის მიხედვით 5%-ით უნდა შეიზღუდოს ემისიები სამრეწველო სექტორში ღონისძიებების გატარების გარეშე სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან მიმართებით (პუნქტი 56); **საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა -** ამოცანა 4.1. განსაზღვრავს სამრეწველო პროცესებიდან და სამრეწველო ობიექტების მიერ ენერგიის მოხმარებიდან გამოწვეული სათბურის აირების ემისიების დონის შემცირებას თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით; **დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია (LT-LEDS) -** დოკუმენტის მიხედვით ერთ-ერთი პრიორიტეტი ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემის, მათ შორის, დაბალნახშირბადიანი გადაწყვეტების მხარდაჭერაა.
	მიზანი 1.2: სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან წარმოქმნილი ემისიების შემცირება და სასოფლო-სამეურნეო სექტორში ნახშირბადის დაბალი მოხმარების მიდგომების მხარდაჭერა;	**ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) -2021-2030** - სოფლის მეურნეობის სექტორში უნდა მოხდეს დაბალნახშირბადიანი განვითარების ხელშეწყობა კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისების გზით (პუნქტი 55); **საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა -** ამოცანა 5.2. ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატგონივრული მიდგომების შემუშავებისთვის კვლევითი მტკიცებულებების შექმნის შესაძლებლობის განვითარებას; **დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია (LT-LEDS) -** კონცეფციაში ხაზგასმულია მეთანის ემისიის შემცირება ენტერული ფერმენტაციიდან და ნაკელის მართვიდან; ასევე სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებიდან აზოტის ქვეჟანგის პირდაპირი და არაპირდაპირი ემისიების შემცირება.

		საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია – 2021-2027- მიზანი 2 - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრავს ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას (ამოცანა 2.4)
	მიზანი 1.3: ნახშირორჟანგის შთანთქმის 10%-ით გაზრდა მიწათსარგებლობის, მიწათსარგებლობის ცვლილებების და სატყეო სექტორში (LULUCF);	**ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) -2021-2030** - დოკუმენტის მიხედვით 10%-ით უნდა გაზარდოს ნახშირბადის შთანთქმის უნარი სატყეო სექტორის მიერ 2015 წელს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით (პუნქტი 58); **საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა -** გეგმა ითვალისწინებს დეგრადირებული ტყის აღდგენას (ამოცანა 7.1) და ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობას (ამოცანა 7.2); ასევე, ნიადაგის და საძოვრების მდგრადი მართვისა და შინაური ცხოველების კვების მდგრადი პრაქტიკების დანერგვის ხელშეწყობას (ამოცანა 5.1); **დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია (LT-LEDS)** - სატყეო და მიწის სექტორში დოკუმენტი ითვალისწინებს ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას; ასევე, დეგრადირებული ნიადაგების აღდგენას, საძოვრების მდგრადი მართვის, ასევე სანიმუშო სასოფლო სამურნეო პრაქტიკებისა და ირიგაციის მიდგომების დანერგვას, რაც შეამცირებს N2O-ს ემისიებს; **საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფცია (2022) -** დოკუმენტის მიხედვით საძოვრების მდგრადი მართვის სისტემას აქვს რამდენიმე დონე ან კომპონენტი. ესენია: (i) საძოვრებით სარგებლობის წესების დადგენა; (ii) საძოვრებით სარგებლობის წესების აღსრულება და (iii) ძოვების, მცენარეული საფარისა და ნიადაგის ფაქტობრივი მდგომარეობის მონიტორინგი. ამ კომპონენტების განხორციელებით ხელი შეეწყობა ნიადაგის მცენარეული საფარის აღდგენასა და ნიადაგში ორგანული ნახშირბადის მარაგების შენარჩუნება-გაზრდას. **საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია** - საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია აყალიბებს მიდგომებს, რომლებიც ემსახურება ტყეების მდგრადი მართვის

		სისტემის ჩამოყალიბებას, საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას და მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით; **საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP 4)** - მიზანი 12 და მის ქვეშ განსაზღვრული ამოცანები (ტყის მართვის სისტემის გაუმჯობესება, ტყის მოვლა და დეგრადირებული ფართობების აღდგენა და სხვა) ემსახურება ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, ასევე ტყისგან მიღებული სარგებლის ზრდას ტყის ეკოსისტემური მომსახურების გათვალისწინებით; ამასთანავე, დოკუმენტით განსაზღვრულია ქარსაფარი ზოლების მართვის გაუმჯობესება და საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა მიწის დეგრადაციის შემცირების და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენის მიზნით (ამოცანა 8.1); **სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა** - დოკუმენტის ამოცანა 2.3: ითვალისწინებს ტყის რესურსების მდგრად გამოყენებას, რაც მოიცავს ისეთ პროგრამებს, როგორიც არის ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები (პროგრამა 2.3.2.) და ტყის აღრიცხვა/ინვენტარიზაცია (პროგრამა 2.3.3.); დოკუმენტში ასევე გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, როგორიცაა საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით (სამოქმედო გეგმის აქტივობა 3.4.2), სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ირიგაციის და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (სამოქმედო გეგმის აქტივობა 1.6.1). **მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი** - დოკუმენტის ამოცანები 15.1, 15.5 და 15.3 ეხმიანება ტყის მდგრადი მართვის სისტემის დანერგვას, ტყის საფარის გაზრდა/ხარისხობრივ გაუმჯობესებასა და დეგრადირებული ნიადაგების აღდგენის საკითხებს: 15.1- 2030 წლისთვის სახმელეთო და შიდა წყალსატევების ეკოსისტემების და მათი სერვისების, კერძოდ ტყეების, ჭარბტენიანი ტერიტორიების, მთებისა და გამომშრალი მიწების კონსერვაციის, აღდგენისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად;

		15.2 - 2030 წლისათვის ყველა სახის ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა, გაუტყეურების შემცირება, დეგრადირებადი ტყეების აღდგენა და ტყის ხელოვნური და ბუნებრივი განახლება; 15.3 - ბრძოლა გაუდაბნოების წინააღმდეგ, დეგრადირებული მიწისა და ნიადაგის აღდგენა, მათ შორის გაუდაბნოებით, გვალვითა და წყალდიდობებით, და მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიღწევა მსოფლიოში 2030 წლისთვის.
	მიზანი 1.4: ნარჩენების სექტორის დაბალნახშირბადიანი განვითარების ხელშეწყობა კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისების გზით.	**ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) -2021-2030** - ნარჩენების სექტორში უნდა მოხდეს დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარება (პუნქტი 57); **საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და ნარჩენების მართვის 2022 – 2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა -** აყალიბებს ნარჩენების მართვის გრძელვადიან სტრატეგიას, რომელიც მათ შორის შეამცირებს სათბურის აირების გამოყოფას. მიზანი 4 ეხება არასახიფათო ნარჩენების ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფას. მიზნის მისაღწევად დასახულია ამოცანები: 4.2 - არსებული ნაგავსაყრელების დახურვა (ამოცანა 4.2) და სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა /რემედიაცია და წარმოქმნის პრევენცია (ამოცანა 4.3); მიზანი 5 -ის ერთ-ერთი ამოცანაა ნარჩენების რეციკლირების და ენერგიის აღდგენის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (ამოცანა 5.2); მიზანი 12 ეხება ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სისტემების შექმნას და დანერგვას (ამოცანა 12.1 - ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვა და ამოცანა 12.2 - ბიოდეგრადირებადი ნარჩენების ენერგიად გარდაქმნის ხელშეწყობა); **საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP 4)** - ნარჩენების მართვის მიმართულებით მიზნად ისახავს მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებას (მიზანი 9.1) და ცირკულარული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას (მიზანი 9.2); **საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა -** დოკუმენტის მიხედვით უნდა მოხდეს არსებული უნებართვო, სტიქიური და არასახიფათო ნაგავსაყრელებიდან და ჩამდინარე წყლებიდან წარმოქმნილი სათბურის აირის ემისიების შემცირება (ამოცანები 6.1 და 6.3);

		დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია (LT-LEDS) - კონცეფციაში ყურადღება გამახვილებულია მეთანის „ამოღების“ გაზრდაზე (რეგიონული ნაგავსაყრელები, ახალი წყალგამწმენდი ნაგებობები), კომპოსტირების გაფართოებაზე, აზოტის მოშორებაზე ჩამდინარე წყლების შლამიდან და მუნიციპალური მყარი ნარჩენების გამოყენებაზე ენერგიისათვის (ცემენტის წარმოებაში). **საქართველოს წყალმომარაგება და სანიტარია - ხედვა და პოლიტიკა** - დოკუმენტის მიხედვით „ წყლისა და წყალარინების მომსახურებების მართვა უნდა მოხდეს ეკოლოგიურად, პასუხისმგებლობით, მდგრადად, რათა აღდგეს და დაცული იყოს ბიომრავალფეროვნება, შემსუბუქდეს კლიმატის ცვლილების ზემოქმედება და შემცირდეს სათბურის გაზების მთლიანი მოცულობა“ (თავი 6). უფრო კონკრეტულად კი პოლიტიკის დებულებების ქვეშ ხაზგასმულია დაბალნახშირბადიანი ტექნოლოგიების პოპულარიზაციის მნიშვნელობა, რათა შემცირდეს წყლის სექტორის მიერ გამოყოფილი სათბურის გაზები (ქვე-თავი 7.3).
დეკარბონიზაცია: განახლებადი ენერგია	**მიზანი 1.5:** ენერგიის საბოლოო მოხმარებაში, განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის გაზრდა (სამიზნე 27,4% 2030 წლისთვის).	**საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა** - დოკუმენტი ენერგეტიკის სექტორში ადგენს შემდეგ რელევანტურ ამოცანებს: განახლებადი ენერგიის (ქარის, მზის, ჰიდრო, ბიომასის) წარმოების ხელშეწყობა (ამოცანა 1.1.) და წიაღისეულ საწვავზე მოთხოვნის შემცირების და ბიოსაწვავის გამოყენების წახალისება (ამოცანა 2.2.); საქართველოს გადამცემ ქსელში განახლებადი ენერგიის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაძლიერება (ამოცანა 1.3); **დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია (LT-LEDS)** - დოკუმენტის მიხედვით პრიორიტეტულია განახლებადი ენერგიის გენერაციის ობიექტების მასშტაბური მშენებლობა და განვითარება; ასევე განახლებადი ენერგიების მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდა საერთო ენერგეტიკულ ბალანსში (ენერგეტიკის სექტორი); ბიოდიზელის წარმოების წახალისება (ტრანსპორტის სექტორი); ალტერნატიული ენერგიის რესურსების მოხმარების მხარდაჭერა (სამრეწველო სექტორი); განახლებადი ენერგიის PV, საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის (DHW) სისტემების, მიწის თბური ტუმბოების და ა.შ. გამოყენება (შენობების სექტორი); **ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია** - დოკუმენტის ამოცანა 7.2 მიმართულია განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებისკენ. დოკუმენტის

		მიხედვით, მომდევნო წლებში საქართველოში არსებული გენერაციის ობიექტების დადგმული ჯამური სიმძლავრე 7 ათას მეგავატს გადააჭარბებს და ახალი სიმძლავრეების უდიდესი ნაწილი განახლებად ენერგიებზე მოვა (81%); **მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი** - ამოცანა 7.2-ის მიხედვით 2030 წლისთვის მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოში არსებულ სხვადასხვა ენერგიებს შორის განახლებადი ენერგიის წილი. სამიზნე მაჩვენებელს წარმოადგენს განახლებადი ენერგიის (ჰიდრო, გეოთერმული და მზის, ბიოსაწვავი და ნარჩენები) წილი სხვა სახის ენერგიებს შორის 2030 წელს, რაც დაახლოებით 30%-ია (7.2.1.1).
ენერგოეფექტურობა	**მიზანი 2:** პირველადი ენერგიის მოხმარების დაზოგვა (სამიზნე 15% BAU-სთან შედარებით 2030 წელს).	**ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია -** ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა დოკუმენტის ერთ-ერთი ამოცანაა (ამოცანა 7.3) და გულისხმობს საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში საწარმოო ციკლის ენერგოეფექტურობას, ასევე შენობების განახლებასა და მშენებლობას ენერგოეფექტური სტანდარტების შესაბამისად; **მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი** - ამოცანა 7.3 ითვალისწინებს საქართველოში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მაჩვენებლის მნიშვნელოვნად გაზრდას 2030 წლისთვის. სამიზნე მაჩვენებელს კი წარმოადგენს ენერგიის ინტენსიურობა[1], რომელიც იქნება 5.787 (2014 წლის ფასებით და ენერგიის მოხმარების საბაზისო მაჩვენებლის ინტენსიურობას მინუს 10%). (7.3.1); **საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2023-2033 -** დოკუმენტი ითვალისწინებს ენერგოეფექტურობისა და მოხმარების ზრდის შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას.
	მიზანი 2.1: პირველადი ენერგიის მოხმარების დაზოგვა სამშენებლო სექტორში;	**ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) -2021-2030** - დოკუმენტის მიხედვით უნდა მოხდეს დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარება შენობების სექტორში (პუნქტი 53);

[1] ენერგიის ინტენსიურობა, რომელიც იზომება პირველადი ენერგიისა და მშპ-ის მიხედვით

		საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა – სამშენებლო სექტორში დოკუმენტის მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი ამოცანები: მომხმარებლის ინფორმირებულობის ამაღლება ენერგოეფექტურობის თაობაზე (ამოცანა 3.2); საცხოვრებელ, კომერციულ და საჯარო დანიშნულების შენობებში ენერგოეფექტური მიდგომების და ენერგოეფექტური განათების დამონტაჟების წახალისება (ამოცანა 3.3); **დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია (LT-LEDS)** - დოკუმენტით დაგეგმილია სამშენებლო სექტორში მსხვილმასშტაბიანი ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარება და შენობების მაქსიმალური თბოიზოლაცია; **ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია** - ამოცანა 7.3 ითვალისწინებს შენობების განახლებას ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად; ასევე შენობების ინვენტარიზაციას და შენობებში ენერგოეფექტურობის დანერგვისთვის საჭირო ტექნიკური და კომპიუტერული პროგრამების უზრუნველყოფის ხელშეწყობას მუნიციპალურ დონეზე.
	მიზანი 2.2: პირველადი ენერგიის მოხმარების დაზოგვა მრეწველობის სექტორში;	**დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია (LT-LEDS)** - დოკუმენტში ხაზგასმულია ენერგოეფექტური მოწყობილობებისა და ტექნიკის მოხმარების მხარდაჭერა; ასევე ენერგოეფექტურობის ზომების გატარება ეკონომიკის სექტორებში, რომელიც ამცირებს ბუნებრივ აირზე მოთხოვნას. **ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) -2021-2030** - დოკუმენტი ითვალისწინებს დაბალნახშირბადიანი მრეწველობის სექტორის განვითარების ხელშეწყობას კლიმატმეგობრული, გონივრული და ინოვაციური ტექნოლოგიების და მომსახურებების მხარდაჭერით, რათა მიღწეული იქნას საბაზისო სცენარში პროგნოზირებულ რაოდენობასთან შედარებით ემისიების 5%-იანი შემცირება (პუნქტი 56).
	მიზანი 2.3: პირველადი ენერგიის მოხმარების დაზოგვა ტრანსპორტის სექტორში;	**ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) -2021-2030** - დოკუმენტით გათვალისწინებულია სათბურის აირების ემისიების 15%-ით შემცირება სატრანსპორტო სექტორში საბაზისო დონის საფუძველზე გაკეთებულ პროგნოზებთან მიმართებით (პუნქტი 52);

		საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა - დოკუმენტის მიხედვით უნდა მოხდეს ავტოპარკში დაბალი და ნულოვანი ემისიის მქონე და ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის გაზრდა (ამოცანა 2.1); ასევე, წახალისებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის და არამოტორიზებული ტრანსპორტის გამოყენება (ამოცანა 2.3). **დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია (LT-LEDS) -** კონცეფცია ითვალისწინებს შემდეგ რელევანტურ საკითხებს ტრანსპორტის სექტორში: სარკინიგზო ტრანსპორტით სამგზავრო გადაყვანების ეფექტურობის გაზრდა; ურბანული საგზაო სისტემების ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია; ჭკვიანი ტექნოლოგიებისა და ხელოვნურ ინტელექტიანი სატრანსპორტო სისტემების დანერგვა; ჰიბრიდული ავტომანქანების, სათბობ ელემენტზე მომუშავე (fuel cell) ავტომანქანების გაყიდვების გაზრდა.
	მიზანი 2.4: პირველადი ენერგიის მოხმარების დაზოგვა გაზისა და ელექტროენერგიის ინფრასტრუქტურაში;	**ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) -2021-2030** - დოკუმენტის მიხედვით 15%-ით უნდა შეიზღუდოს სათბურის აირების ემისიები ენერგიის გენერაციისა და გადაცემის სექტორში საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან მიმართებით (პუნქტი 54); **საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა -** დოკუმენტის ამოცანა 1.2. ითვალისწინებს თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესებას;
	მიზანი 2.5: ენერგიის შენახვა.	**ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია -** დოკუმენტში ხაზგასმულია სამუშაოების გაგრძელების მნიშვნელობა სტრატეგიული რეზერვების შექმნის მიმართულებით (ამოცანა 7.4).
	მიზანი 3.1: ენერგიის ადგილობრივი წყაროების გამოყენება; **მიზანი 3.2:** ენერგიის შიდა წყაროების განვითარება;	**ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია -** დოკუმენტში ამოცანა 7.2-ის ქვეშ (განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება), ხაზგასმულია იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებისა და შესაბამისად, ადგილობრივი ჰიდრორესურსების, მზისა და ქარის ენერგიების ოპტიმალური ათვისების მნიშვნელობა. **საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2023-2033 -** დოკუმენტის მიხედვით, მიწოდების უსაფრთხოება წარმოადგენს საქართველოს გადამცემი ქსელის ყველაზე კრიტიკულ პრობლემას და სწორედ მიწოდების უსაფრთხოების/სისტემის

ენერგეტიკული უსაფრთხოება	**მიზანი 3.3:** ენერგიის წყაროების, მომწოდებლებისა და მარშრუტების დივერსიფიკაცია ელექტროენერგეტიკულ სექტორში;	საიმედოობის დონის ამაღლება იქნება საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ლაიტმოტივი უახლოესი ათი წლის მანძილზე. მიწოდების უსაფრთხოების დონის მკვეთრი გაუარესების თავიდან ასაცილებლად, დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორაცაა მაგალითად, სისტემათაშორისი კავშირის ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის დროული მშენებლობა, არსებული გენერაციის ობიექტების შენარჩუნება და მოწესრიგება, წყალსაცავიანი ჰესების დროული მშენებლობა და სხვა.
	მიზანი 3.4: ელექტროენერგეტიკულ სექტორში ენერგიის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება;	
	მიზანი 3.5: ბუნებრივი გაზის სექტორში ენერგიის წყაროების, მიმწოდებლებისა და მიწოდების მარშრუტების დივერსიფიკაცია;	**ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია** - დოკუმენტის მიხედვით, პრიორიტეტულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, დანაკარგების მინიმიზაცია და საყოფაცხოვრებო გამოყენების გაზის მიწოდების ქსელის გაფართოება; შესაბამისად, მუშაობის გაგრძელება ბუნებრივი გაზის მოწოდების წყაროების დივერსიფიცირების მიმართულებით (ამოცანა 7.4). ამავე ამოცანაში ხაზგასმულია მაგისტრალური გაზსადენების სისტემის ძირითადი მონაკვეთებისა და განშტოებების რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის, აგრეთვე სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება ბუნებრივი გაზის მოძველებულ გამანაწილებელ ქსელებზეც.
	მიზანი 3.6: ბუნებრივი გაზის სექტორში ენერგიის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება;	
	მიზანი 3.7: ენერგიის წყაროების, მომწოდებლებისა და მიწოდების მარშრუტების დივერსიფიკაციის გაზრდა ნავთობის სექტორში;	
	მიზანი 3.8: მოთხოვნაზე რეაგირება;	**საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2023-2033** - დოკუმენტში განხილულია საქართველოს გადამცემი ქსელის სუსტი ადგილები და განსაზღვრულია იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის გზები (რეზერვების უზრუნველყოფა, მარეგულირებელი ჰიდროსადგურების, მძლავრი კომბინირებული თბოსადგურების მშენებლობით და/ან არსებული თბოსადგურების რეაბილიტაციის გზით, ჰიდროსადგურების ავტომატური რეგულატორების რეაბილიტაცია და თბოსადგურების ჩანაცვლება ახალი ეკონომიური ანალოგებით და სხვა)
	მიზანი 3.9: არსებული ელექტროგადამცემი ქსელის	**ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია** - დოკუმენტის ამოცანა 7.4 ეხება ენერგორესურსებზე წვდომისა და მიწოდების საიმედოობის უზრუნველყოფის საკითხს.

	საიმედოობის და გამტარუნარიანობის გაზრდა.	ამოცანის ფარგლებში ხაზგასმულია გადამცემი ინფრასტრუქტურის, როგორც ელექტროენერგიის, ასევე ბუნებრივი გაზის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მშენებლობის მნიშვნელობა ენერგეტიკის სექტორის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით. ყურადღება გამახვილებულია ასევე საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ზრდაზე.
	მიზანი 3.10: ელექტროგადამცემი ქსელის საიმედოობისა და გამტარუნარიანობის გაზრდა, სისტემური, სისტემათაშორისი და ადგილობრივი ელექტროგადამცემი ხაზების გაუმჯობესებისა და განახლების გზით;	**დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია (LT-LEDS) -** კონცეფციის მიხედვით უნდა მოხდეს გადამცემი ქსელებისთვის საზედამხედველო კონტროლისა და მონაცემთა შეძენის (SCADA) სისტემისა და წარმოების ინფორმაციის მართვის სისტემის (PIMS) დანერგვა.
შიდა ენერგეტიკული ბაზრის მიმართულება	**მიზანი 4.** ენერგეტიკული სიღარიბის პირობებში მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლის შემცირება, (სამიზნე მაჩვენებელი: 2017 წელს ნავარაუდები 43%-დან, 2030 წლისათვის 15%-ზე ქვემოთ შემცირება).	**მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი** - ამოცანა 7.1-ის მიხედვით, საქართველო 2030 წლისთვის მიაღწევს მნიშვნელოვან პროგრესს ქვეყნის მასშტაბით ხელმისაწვდომ, საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურებაზე წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აღნიშნული ამოცანის ინდიკატორია იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურებაზე, ხოლო სამიზნე მაჩვენებლის მიხედვით - 2030 წელს მოსახლეობის თითქმის 100%- ს ექნება წვდომა ელექტროენერგიაზე და 75%-ს - ბუნებრივ გაზზე (7.1.3).
	მიზანი 4.1: ენერგო სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობის შემცირება (სამიზნე: 2017 წელს დაფიქსირებული დაახლოებით 43%-დან, 2030 წლისათვის 15%-მდე შემცირება).	**ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია -** ამოცანა 7.1 - ენერგეტიკული ბაზრის განვითარება - ითვალისწინებს თავისუფალი და კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს ინვესტიციების მოზიდვასა და გენერაციის სექტორის სწრაფ განვითარებას.
კვლევა, ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა	**პრიორიტეტი 1**: კვლევების, განვითარებისა და ინოვაციების (RDI) ძლიერი ეროვნული სისტემის შემუშავება სუფთა ენერგიის ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად	შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტი ვერ იქნა იდენტიფიცირებული

	მიზანი 5.1.1: კვლევებსა და ინოვაციებზე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯის ზრდა.	**საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP 4) -** კლიმატის ცვლილების პოლიტიკის სრულყოფის (მიზანი 13) მიზნის ქვეშ განსაზღვრავს ქმედებას - მონაცემების შექმნას და სისტემატიზაციისა მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლიმატის ცვლილების პოლიტიკის წარმოებისთვის (ამოცანა 13.1).
	მიზანი 5.1.2: შესაძლებლობების გაძლიერება R&I სტიმულირებისათვის.	**საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა - დოკუმენტი ითვალისწინებს** მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე კადრების მომზადებას (ენერგოეფექტურობის საკითხებში ამოცანა 3.5);
	მიზანი 5.1.3: მდგრად ენერგეტიკასთან დაკავშირებული RDI-ს მხარდაჭერა და გაძლიერება.	შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტი ვერ იქნა იდენტიფიცირებული
	მიზანი 5.1.4: ბიზნესის სექტორში ინოვაციების წახალისება და კერძო ინვესტიციების მოზიდვა კვლევისა და ინოვაციის მიმართულებით.	შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტი ვერ იქნა იდენტიფიცირებული
	პრიორიტეტი 2: RDI სექტორში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება.	შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტი ვერ იქნა იდენტიფიცირებული
	მიზანი 5.2.1: მსხვილ საერთაშორისო RDI პროგრამებში (NATO, SPS, COST და სხვა.)	შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტი ვერ იქნა იდენტიფიცირებული
	მიზანი 5.2.2: ევროკავშირის "ჰორიზონტი ევროპა" პროგრამაში ქართველი მეცნიერებისა და მკვლევარების ჩართულობის გაზრდა, და მათი ინტეგრაცია ევროკავშირის კვლევით სივრცეში.	შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტი ვერ იქნა იდენტიფიცირებული